საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ვასილ მშვენიერაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 01.09.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს მიხეილ ჯინჯოლია კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვასილ მშვენიერაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის მიხეილ ჯინჯოლიას წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე (1 ვაკანსიაზე) ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 7 თებერვლის №1/22 განკარგულებით, კანდიდატებად დარეგისტრირდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირები, მათ შორის - მიხეილ ჯინჯოლია.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოვახდინე კანდიდატის შეფასება. შეფასებისას ვიხელმძღვანელე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და თავად მიხეილ ჯინჯოლიას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით, ასევე კანდიდატის საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილებით.

კანდიდატთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ მიხეილ ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კანდიდატი ასევე შევაფასე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებით: „ა" სამართლის ნორმების ცოდნა; „ბ" სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; „დ" წერის უნარი; „ე" ზეპირი კომუნიკაციის უნარი; „ზ" პროფესიული

თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში); „თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; „ი“ პროფესიული აქტივობა. მითითებული მახასიათებლების მიხედვით, მიხეილ ჯინჯოლიას „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად მიკანიჭე 94 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 5 აგვისტოს №1/85 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი - მიხეილ ჯინჯოლია. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა მიხეილ ჯინჯოლიას პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის საკითხი.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულ ღია კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენად მიხეილ ჯინჯოლიას მხარი დავუჭირე, ვინაიდან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ვასილ მშვენიერაძე

1 სექტემბერი, 2025 წელი